



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2014 წლის III კვარტლის ანგარიში

7 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე თბილისის ანსამბლების ხელმძღვანელებს (წევრებს) შეხვდა და ესაუბრა სამომავლო გეგმებზე, პრობლემებსა და ამოცანებზე. თბილისის ანსამბლებთან შეხვედრა მომავალშიც გაგრძელდება.



3-10 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის სამსახურის კოორდინატორი თეონა რუხაძე იმყოფებოდა აჭარაში. ექსპედიციის მიზანი იყო: აჭარელი მეჭიბონეების შესახებ ცნობების შეგროვება და რეპერტუარის დაფიქსირება. ექსპედიციაში მოძიებული აუდიო და დოკუმენტური მასალები ჩაბარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს.



8 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში მორიგი ტრადიციული შეხვედრა გაიმართა. ამჯერად ფოლკლორის ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ქალთა ანსამბლ „ქალგულოს“ უმასპინძლა (ხელმძღვანელი გომარ სიხარულიძე).

ანსამბლი 2002 წლიდან არსებობს და გომარ სიხარულიძის სახელოსნოდან იღებს სათავეს. „ქალგულომ“ სხვადასხვა ჟანრისა და ხასიათის ათი სიმღერა შეასრულა. ფოლკლორის ცენტრი ანსამბლ „ქალგულოს“ მომავალში დაეხმარება აუდიოალბომის გამოცემაში.



12-20 ივლისის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „უძველესი ქართული ხალხური ცეკვის ნიმუშების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნა“. პროექტის ფარგლებში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ქორეოგრაფიული მიმართულების ექსპედიცია იმყოფებოდა ქვემო სვანეთში. ექსპედიციის წევრები: უჩა დვალიშვილი (ხელმძღვანელი), მაია ჩოკოშვილი (ასისტენტი), გიორგი ასიტაშვილი (ვიდეორეპორტიორი), ზურაბ ლიპარტელიანი (მეგზური).



2014 7 14

ექსპედიციის მიზანი იყო ქვემო სვანეთში მივიწყებული სვანური ფერხულებისა და ცეკვების მოძიება-შესწავლა და დაფიქსირება. ექსპედიცია იმყოფებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ლაშხეთის თემი - ჟახუნდერი, ჩოლურის თემი -თეკალი, ბაბილის თემი - აშარი, ხელედის თემი - წანაში, ლენტეხის სარაიონო ცენტრში ექსპედიციამ ჩაიწერა ლენტეხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ლაგუმედა“ და ანსამბლი „ლილე“. ასევე გაეცნო და დააფიქსირა ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალები, ფოტოები და დოკუმენტები. ექსპედიციამ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს ჩააბარა: ექსპედიციის დღიური, 13 საათიანი DVD, 4,03 GB ფოტომასალა, 6, 39 GB აუდიომასალა და 8.27 GB ვიდეოფირი

16 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში მორიგი ტრადიციული შეხვედრა გაიმართა. ამჯერად ფოლკლორის ცენტრმა ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „იავნანას“ უმანპინძლა (ხელმძღვანელი გიორგი სუხიშვილი). „იავნანა“ უკვე ექვსი წელია არსებობს. „იავნანამ“ საქართველოს სხვადასხვა კუთხის 10 სიმღერა შეასრულა.



21 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის „გალერეაში“ გაიხსნა არაპროფესიონალი მხატვარების: მაკა ხეჩინაშვილის, ირაკლი კიკილაშვილისა და გალინა ხიმშიაშვილის ნამუშევრთა ჯგუფური გამოფენა. გამოიფინა 130-მდე ფერწერული, გრაფიკული, ორიგინალური ჟანრის ექსპონატი და რამდენიმე გობელენი.



25 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართა წმიდა ფილიმონ მაგალობლის (ქორიდის), ერისთვის თავდადებულის, ხსენების დღისადმი მიძღვნილი ლექცია. საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის წევრმა ლუარსაბ ტოგონიძემ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა ფილიმონ ქორიდის განვლილ გზაზე, მის პიროვნებასა და ღვაწლზე.



დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა ანზორ ერქომაიშვილის მიერ აღმოჩენილი, 1901 წელს ჩაწერილი 80 წლის ფილიმონ ქორიდის ხმა - „მრავალჟამიერი“.

4-15 აგვისტოს, პროექტით „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტრადიციული მუსიკა“, ხმის ჩამწერი მოძრავი სტუდიის მეშვეობით, ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალურ-ფოლკლორისტული ექსპედიცია ახმეტის რაიონში (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნატალია ზუმბაძე). ექსპედიციამ იმუშავა ქალაქ ახმეტასა და ახმეტის რაიონის 18 სოფელში (არაშენდა, აწყური, ახალშენი, ახშანი, დედისფერული, ზემო ალვანი, ზემო ხოდაშენი, კოლოთო, კოჯორი, მატანი, ნადუქნარი, ოჟო, საკობიანო, ქვემო ალვანი, ქისტაური, შახვეტილა, ჩაბინაანი, ხევისჭალა). მოიძია და დააფიქსირა კახური, ხევსურული, ფშაური და თუშური მუსიკალური ყოფის ამსახველი ნიმუშები: ტრადიციული სასიმღერო და საკრავიერი ჟანრები. ჩაწერილ იქნა სხვადასხვა საკრავზე აჟღერებული სასიმღერო ჰანგებიც. მუსიკალურ მასალასთან ერთად ექსპედიციამ ჩაიწერა სიტყვიერი ინფორმაციაც და რამდენიმე ინტერვიუც. ექსპედიციაში მოძიებული აუდიო და დოკუმენტური მასალები ჩაბარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივს.



18-22 აგვისტოს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი გივი აბესაძე და ხმის რეჟისორი არჩილ ბურჭულაძე მივლინებული იყვნენ ფოთში ფოთის ფოლკლორული ანსამბლის

„ფაზისის“ რეპერტუარის ჩასაწერად და CD ალბომისათვის მასალების მოსამზადებლად (ხელმძღვანელი იროდი ტიკარიძე). ექსპედიციამ ჩაიწერა ფაზისის რეპერტუარიდან 15 სიმღერა. ფოლკლორის ცენტრის არქივს ჩაბარდა 3GB ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალა. ანსამბლ „ფაზისის“ აუდიოალბომი პირველი გამოცემა იქნება ანსამბლის არსებობის 45 წლის განმავლობაში. „ფაზისის“ აუდიოალბომი წლის ბოლომდე გამოიცემა.



29 აგვისტოს ორგანიზაცია Geo tourist- ის ინიციატივით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პარტნიორობით, ქალაქ ამბროლაურში გაიმართა რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ფოლკლორული ფესტივალი. ფესტივალში მონაწილე ოთხივე რაიონის ფოლკლორულმა ანსამბლებმა, ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა შეასრულეს თავთავიანთი კუთხის სიმღერები და ცეკვები. მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა.



12 სექტემბერს ფოკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „ძველი და ახალი ფშავი“.გამოიფინა ფშავური ტრადიციული ხალხური რეწვის ნიმუშები: ფარდაგი, ჯეჯიმი, ქისა, სამოსი, წინდა, ქალამანი, ხურჯინი, კერამიკული ჭურჭელი, ფშავური ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები. ასევე წარმოდგენილი იქნა თინა ნაყეური-დათაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.



6-20 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პროექტების მართვის ხელმძღვანელი სოფიო ლობჯანიძე იმყოფებოდა ექსპედიციაში ზემო სვანეთში. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და მიზნად ისახავდა არამატერიალური კულტურის ელემენტების/ობიექტების ინვენტარიზაცია-დაფიქსირებასა და შესწავლას. ექსპედიციის ფარგლებში მოხდა სვანური ზარის, როგორც სამგლოვიარო ტრადიციის უნიკალური ნიმუშის ყოფაში ჩაწერა-ფიქსაცია.



22 სექტემბერს, ცნობილი იტალიური ბრენდის დამფუძნებლის ლუჩიანო ბენეტონის კულტურული პროექტის ფარგლებში, გუჯა მაბელინის ხელმძღვანელობით, გაიხსნა ერთდღიანი გამოფენა - „მსოფლიო წარდგენა“ „გალერეაში“ გამოიფინა 140 ქართველი მხატვრის მინი ხელოვნების ნიმუში.

13 სექტემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი იმყოფებოდა დმანისის მუნიციპალიტეტში სვანური ზარის ჩაწერა-დაფიქსირების მიზნით.

22-26 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ტრადიციული მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმის ოფიციალურმა პარტნიორმა და ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, უზრუნველყო სიმპოზიუმის ყოველდღიური გალა და დასკვნითი კონცერტებისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან განსხვავებული სტილისა და შემსრულებლობის მქონე ფოლკლორული ჯგუფებისა და ანსამბლების შერჩევა და ჩამოყვანა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ასევე ორგანიზებას უწევდა გალა კონცერტების მსვლელობას, კულტურულ გასვლით ღონისძიებებისთვის გორსა და უფლისციხეში ანსამბლების შერჩევას.



- მიმდინარეობს მუშაობა „ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერების კრებულის“ გამოცემაზე (ჩამწერი როზა თავდიდიშვილი) - შემდგენელ-რედაქტორები: ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე
- მიმდინარეობს მუშაობა დავით ჯავრიშვილის ანთოლოგიაზე
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „როსტომ გოგოლაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „ანდრო სიმაშვილი“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „პოლიკარპე ხუბულავა“

- მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. უახლოს მომავალში, მომხმარებელს საშუალება ექნება გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.
 - მიმდინარეობს მუშაობა „ზარი, როგორც რიტუალი“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის / ძეგლის საადრიცხო ბარათის შევსება-დამუშავებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტენსიური კომუნიკაცია და კოორდინაცია გვაქვს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან.
 - მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.
-
- ❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.
 - ❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებული ელექტრონული არქივის შესავსებად.